# თვითსტიგმის კავშირი კეთილდღეობის მაჩვენებლებთან ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებში

ეკატერინე ვეშაპიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ია შეყრილაძე

ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

# განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ეკატერინე ვეშაპიძე

15.06.2022

## მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ია შეყრილაძეს თანადგომისთვის, დახმარებისთვის, ხელმისაწვდომობისთვის, კვლევის პროცესში აქტიური ჩართულობისა და უკუკავშირის დროული მოწოდებისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, ქალბატონ ირინა ვარდანაშვილს გულისხმიერებისა და სტატისტიკურ ნაწილში გაწეული კონსულტაციების მიზნით დროის გამოყოფისთვის.

ბოლოს კი მადლობა ჩემს კურსელებსა და მეგობრებს თანადგომის, დახმარებისა და გუნდური მუშაობისთვის.

**კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [MR-21-240]**

**This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [MR-21-240]**

# აბსტრაქტი

ფსიქიკური ჯანმრთელობისადმი ინტერესის ზრდამ, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 21-ე საუკუნეში, გამოააშკარავა მრავალი პრობლემატური საკითხი, რომელიც ფსიქიკური აშლილობების მქონე პირებთან მუშაობის დროს სპეციალისტების ყურადღებას საჭიროებს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა თვითსტიგმას უკავშირდება. თვითსტიგმის მსხვერპლნი ძირითადად ფსიქიკური აშლილობის მქონე (ფამ) ადამიანები ხდებიან. კვლევის მიზანია, დადგინდეს, კონკრეტულად რა ტიპის კავშირებია ფამ პირების თვითსტიგმის ხარისხსა და კეთილდღეობის მაჩვენებლების, კერძოდ, ცხოვრებით კმაყოფილების, ცხოვრების საზრისის ფლობის, ფსიქიკურად კარგად ყოფნისა და თვითეფექტურობის დონეებს შორის. კვლევა რაოდენობრივი ხასიათისაა და გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი. მონაწილეთა რაოდენობა 63 იყო. მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა და ცვლადთა შორის კავშირების დასადგენად მოხდა მათი კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

შედეგების თანახმად, უარყოფითი კავშირები დადგინდა თვითსტიგმასა და კეთილდღეობის მაჩვენებლებს შორის. გარდა ამისა, თვითსტიგმას უარყოფითად მხოლოდ თვითეფექტურობა წინასწარმეტყველებდა. თვითსტიგმა არ წინასწარმეტყველებდა ცხოვრებით კმაყოფილებასა და ფსიქიკურად კარგად ყოფნას.
კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმების გამოაშკარავებას, მათი გავლენის შესწავლას ინდივიდების თვითაღქმაზე და, ასევე, მათთან გამკლავების გზების იდენტიფიცირებას. კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები უფრო მკვეთრად დაგვანახებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს მნიშვნელოვნებას ქართული საზოგადოებისთვის და წვლილს შეიტანს თვითსტიგმის შესახებ გლობალური სურათის შექმნაში.



**საკვანძო სიტყვები:** თვითსტიგმა, ცხოვრებით კმაყოფილება, ცხოვრების საზრისის ფლობა, ფსიქიკურად კარგად ყოფნა, თვითეფექტურობა, ფსიქიკური აშლილობები

# Abstract

The growing interest in mental health, that has become more apparent in the 21st century, revealed many problematic issues that require special attention of professionals working with individuals with mental illness, and self-stigma is among them. As the numbers of people with mental disorders increase worldwide, they are the ones who suffer the most from self-stigma.

The study aimed to determine the links between self-stigma and well-being indicators, namely, the levels of self-efficacy, meaning in life, mental well-being, and satisfaction with life, among individuals with psychological disorders.

The research is quantitative, using survey method. There were 63 participants in this research. The levels of self-stigma and well-being indicators are measured by self-stigma scale, self-efficacy scale, mental well-being scale, meaning in life questionnaire, and satisfaction with life scale. The results were statistically analyzed and correlation and regression analyses were performed to determine the links among variables.

According to the results, negative links have been found between the level of self-stigma, on one hand, and the levels of well-being indicators, on the other. Furthermore, only self-efficacy predicted self-stigma negatively. However, self-stigma didn't predict neither satisfaction in life not mental well-being.

The findings generate further research interest, pinpoint the effect of societal stigmas on individuals' sense of self, and may identify different ways of interventions. The results will also increase awareness on mental health needs in Georgian society and may contribute to the global data.



**Keywords:** Self-stigma, Satisfaction with life, meaning in life, mental well-being, self-efficacy, psychological disorders.